**სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:** თეოლოგია/Theology

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** თეოლოგიის მაგისტრი. MA in Theology

**პროგრამის ხელმძღვანელი:** ეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი).

**სამაგისტრო პროგრამის საკვალიფაკაციო დახასიათება:**

**ა) პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია მოამზადოს მკვლევრები და პრაქტიკოსები, რომელთაც შეეძლებათ რელიგიებისა და რელიგიური პროცესების კვლევა თანამედროვე მეთოდებით, რელიგიურ პროცესებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში მონაწილეობის მიღება; მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებზე რელიგიური ფაქტორების გავლენის შესწავლას, კულტურული და რელიგიური თავისთავადობის შენარჩუნების გზების დასახვას, რელიგიური ხასიათის პრობლემატურ საკითხთა ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებას რალიგიური ფუნდამენტალიზმისა თუ რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ.

**გამოუმუშაოს მაგისტრანტს:**

- გარკვეული მეთოდოლოგიური, კოგნიტური და ლინგვისტური უნარები და ინტერპერსონული კომპეტენციები, რელიგიურ, კულტურულ, ისტორიულ თუ სხვა საკითხთა განხილვისას, სხვადასხვა ეთნიკურ თუ კონფენსიურ წარმომადგენლობებსა და ცალკეულ პირებთან ურთიერთობებისას.

- ასევე სისტემური კომპეტენციები კონფერენციების, სიმპოზიუმების თუ სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრების მომზადებისა და მიმდინარეობის პროცესში მიღებული თეოლოგიური ცოდნის სწორად გამოყენებისათვის.

**ბ) სწავლის შედეგები:** სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას შემდეგ საგნებში: წმიდა წერილი; ეკლესიის ისტორია; ღვთისმეტყველება; მსოფლიო რელიგიების ისტორია; საეკლესიო სამართალი; აპოლოგეტიკა.

**პროგრამაზე მირების წინაპირობები:**

- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- სასპეციალიზაციო გამოცდა ღვთისმეტყველების შესავალში

**მაგისტრს უნდა შეეძლოს:**

- თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენება, იგი უნდა იცნობდეს საღვთისმეტყველო ძირითად კატეგორიულ აპარატს და რელიგიურ პროცესებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზას.
- რელიგიური ხასიათის აქტუალურ საკითხთა ღრმა ანალიზი და კვლევა;
- სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაცია, თეოლოგიური ხასიათის კომენტარების დართვა.

**გ) დასაქმების სფეროები:**

- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები;
- რელიგიური ცხოვრების რეგულირებასთან დაკავშირებულ სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებები;
- რელიგიური პროფილის მქონე პერიოდული გამოცემები;
- მასმედია: სატელევიზიო და რადიოგადაცემათა პროგრამები;
- საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სასწავლებლები, სკოლები, საკვირაო სკოლები.

**სწავლის გაგრძელების საშუალება**: მაგისტრს შეეძლება სწავლის გაგრძელება შესაბამისი პროფილის მქონე დოქტურანტურაში.

**სარეფერატო თემების ნუსხა:**

1. პიროვნების თავისუფლების საზრისი;
2. რწმენა, ცოდნა და სამყაროს შემეცნების საკითხი;
3. ოჯახი, სკოლა, ეკლესია;
4. საქართველოს სულიერი საუნჯე;
5. "მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ" (ლკ. XIV, 24);
6. "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"
7. სიკვდილისა და სიცოცხლის არსი;
8. კულტურა და ცრუკულტურა;
9. დიდი და მცირე გონება;
10. "ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა" (ეკლესიასტე, III, 3);
11. სიხარული და მწუხარება;
12. ზეციური იერუსალიმი;
13. სული აღმაშენებელი;
14. სათნოებითი მოღვაწეობა;
15. "გალობანი სინანულისანი";
16. ღვთისგან განდგომილი მსოფლიო;
17. ახალგაზრდა და ქუჩა;
18. საქართველოს 2000-წლიანი ქრისტიანული ცხოვრების გზა;
19. ცრუ სწავლებათა მხილება;
20. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთმიმართება;
21. გლობალიზაცია და მართლმადიდებლური ცნობიერება;
22. "პირველითგან იყო სიტყუაჲ" (ინ. I, 1);
23. მე ვარ ადამიანი;
24. უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა;
25. დრო ჩვენს ცხოვრებაში;
26. მე გეხმარები იმისათვის, რათა შენ დაეხმარო შენს თავს;
27. ბრწყინვალე აღდგომა ქრისტესი - პასექი.

## საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

მისაღები გამოცდები მაგისტრატურაში ჩატარდება სპეციალობაში წერითი სახით; ბილეთში წარმოდგენილი იქნება 4 საკითხი, თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასება 25 ქულა (სულ: 100-ქულიანი შეფასებიდან მინიმალური შეფასება 65);

1. ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში და სახელმწიფო რელიგი-ად მისი გამოცხადება;
2. საეკლესიო განხეთქილება ქართლსა და სომხეთს შორის. მონო-ფიზიტობა და დიოფიზიტობა;
3. პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება - "რწმენის სიმბოლო";
4. დიდი საეკლესიო განხეთქილება - 1054 წელი: მიზეზები და შედეგები;
5. საქართველოს საკათალიკოსოს დაარსება - ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა;
6. რუის-ურბნისის საკლესიო კრება;
7. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. ეგზარხოსობა.

8. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. კირიონ II;
9. 2002 წლის საკონსტიტუციო შეთანხმება საქართველოს მართლმა-დიდებელი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის;
10. მსოფლიო საეკლესიო კრებები;
11. ოთხი მახარებელი;
12. ბიბლია - ძველი და ახალი აღთქმის წიგნები;
13. რწმენისა და ცოდნის მიმართება;
14. შვიდი საეკლესიო საიდუმლო;
15. რელიგია და მეცნიერება;
16. რელიგია და ფილოსოფია;
17. პროტესტანტიზმი და რეფორმაცია;
18. მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი;
19. ადამიანი, როგორც ხატი და მსგავსება;
20. ქრისტიანული ეკლესიის დოგმატიკა.

**ძირითადი სარეკომენდაციო ლიტერატურა:**


1. "ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი", 1-3 ტომი - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. თბ. 1997-2008წწ.;
2. "საპატრიარქოს უწყებანი" - 2002-2008წწ., სრულიად საქართველოს კათო-ლიკოს-პატრიარქის საკვირაო ქადაგებები;
3. "ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი" - საქართველოს საპატრიარქოს სას-წავლო კომიტეტი, თბილისი, 2004წ.;
4. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) - "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ. 1 ¸3, თბილისი, 1996-99წწ.;
5. წმ. იოანე დამასკელი - "მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა" (თბ. 2000წ. ), გამომცემელი პროფ. ედიშერ ჭელიძე;
6. პატერიკი - სწავლანი და ღვაწლნი წმიდათა მამათანი, თბ. 2004წ.;
7. წმ. იოანე სინელი - კლემაქსი ანუ კიბე (საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ. II, თბ. 2005წ.);
8. წმ. ბასილი დიდი - "თხზულებანი", თბ. 2002წ.


**დამატებითი სარეკომენდაციო ლიტერატურა:**


1. Святитель Николай Сербский (Велимирович) - "Библейские темы" , Москва, 2005г.;
2. Преподобный Иустин (Попович) - "Философские пропасти" , Москва, 2004г.;
3. А.И. Осипов - "Путь разума в поисках истины" , Москва, 2003г.;
4. Святитель Феофан Затворник - "Страсти и борьба с ними" , Москва, 2004г.;
5. Арх. Иоанн (Крестьянкин) - "Настольная книга для монашествующих и мирян" , Москва, 2004г.;
6. В.В. Болотов - "Лекции по истории древней Церкви" , т. 1 4, Москва, 1994г..



კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ეპისკოპოს იოანეს (გამრეკელი)
ტ. 899-94-52-27; 98-89-78 (საპატრიარქო).